ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ "Eveling Group S.A."-სგან მიღებულ სესხზე გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთს წარმოადგენს. 2020 წლის იანვრიდან, ჯგუფმა საქართველოს საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება დაიწყო.

ხელმძღვანელობა აპირებს გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი ადგილობრივი და საერთაშორისო ზომა, რათა დაასაბუთოს მისი სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოლიტიკები და გააუქმოს 2016 და 2018 წლებისთვის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები, ისევე როგორც 2017 წლისთვის მიღებული გადაწყვეტილება. ხელმძღვანელობა ასკვნის, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს საგადასახადო ადმინისტრაცია მიიღებს გაურკვეველ საგადასახადო მიდგომას. ჯგუფს არ უღიარებია სატრანსფერო ფასწარმოქმნის აუდიტთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯები მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) სასამართლო დავები

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

24. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

ჯგუფის პირდაპირი მშობელი კომპანია არის " AS Eleving Luna", ლატვიაში რეგისტრირებული კომპანია (იხ. შენიშვნა 1 (b)). ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანია არის "Eleving Group S.A.". „Eleving Group S.A.“-ის წლიური ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე: www.eleving.com.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა ხელფასების ხარჯების კატეგორიაში (იხილეთ შენიშვნა 9):

	2023	2022
ხელფასები და ბონუსები	(278,813)	(246,387)
	(278,813)	(246,387)

25. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2023	2022	2023	2022
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები:				
სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 15)	-	-	629,309	629,309

	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2023	2022	2023	2022
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები:				
სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 19)	2,879,106	3,597,589	266,078	229,147
ავტომობილების სადილერო საკომისიო	273	1,122	158	431

	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2023	2022	2023	2022
ანარიცხი ფინანსური გარანტიისთვის				
იმავე დონის შვილობილი საწარმო	-	-	1,080	51,008

2023 წელს, ამორტიზებული შემოსავალი ფინანსურ გარანტიაზე შეადგენდა 48,901 ლარს (2022: 234,716 ლარი), იხილეთ შენიშვნა 10.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, გარდა მიღებული სესხებისა და ფინანსური გარანტიის ანარიცხის, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე წლებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მიმართ უიმედო ან საეჭვო სესხის დავალიანების ოდენობაზე ხარჯების აღიარება.

25. შემდგომი მოვლენები

- დამფუძნებლის ცვლილება

2024 წლის თებერვალში შპს მოგოს დამფუძნებლის, სს Eleving Stella-ს (40103964830), საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს მოგო უსასყიდლოდ გადაეცა Eleving Stella UAB LLC-ს, რომლის დირექტორი გახლავთ ვალერიი პეტროვი (პ/ნ 38709080015/ ლიტვა), ხოლო საქართველოში იურიდიული ძალის მქონე წარმომადგენელი პირია ანა ქურსუა(პ/ნ 62001040016). აღნიშნული ოპერაციის შედეგად, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელად წარმოდგენილია Eleving Stella UAB LLC.

- სესხები და კრედიტები

2024 წელს ჯგუფმა სრულად დაფარა Mintos-ის (პირინგული ინვესტორებისგან მიღებული დაფინანსება) მიმართ არსებული სასესხო დავალიანება. ჯგუფს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღისთვის არ უფიქსირდება მიღებული სესხები.

- პორტფელის გაყიდვა

2024 წლის მარტში ჯგუფმა გაყიდა 132,115 ლარის საბალანსო ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური იჯარის მოთხოვნები (პორტფელი მოიცავს 140 ფინანსურ იჯარას, ჯამური 621,541 ლარის საბალანსო ღირებულებით) და კლიენტებზე გაცემული სესხები (პორტფელი მოიცავს 244 სესხს, ჯამური 1,280,287 ლარის საბალანსო ღირებულებით) 222,501 ლარის სანაცვლოდ. ოპერაციიდან წარმოქმნილი ზარალი 201,811 ლარი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240821857
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.07.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83841028293424

მე, ნოტარიუსი, დავით ჩალათაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტზე დიპლომირებული მთარგმნელის, თორნიკე პარხომენკოს (დაბადებული 17.02.1992, მცხოვრები: ქ. თბილისი, აწყურის ქუჩა 39, ბარათის ნომერი 20IC87066, პირადი ნომერი: 01011081564 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, დიპლომი MH N001116 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. გადახდილია საზღაური: 106.00 ლარი, დღგ 19.08 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, და რეგისტრაციის საზღაური 5.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

I, Notary Davit Chalatashvili, whose notary bureau is located at: Mtkvari #4, Tbilisi, certify the authenticity of signature of qualified translator Tornike Parkhomenko (DOB 17.02.1992, place of residence: Tbilisi, 39 Atskuri Street, card number 20IC87066, Personal Number: 01011081564 issued by the Ministry of Justice, Diploma MH N001116 issued by Tbilisi State University). Translator is warned about his responsibility for the accuracy of translation and he gives the guarantee for the accuracy of translation.
The notary tax is paid: 106.00 GEL, VAT 19.08 GEL according to article 166 of Georgia tax code and 5.00 GEL for drawing up notary act according to the articles 31.3 and paragraph 1 of article 39 of resolution # 507 (29.12. 2011) of the government of Georgia about notary tax for drawing up notary act and ascertained fees for notary chamber, rules of payment and approval of terms of service

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
Notary : Davit Chalatashvili

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს მოგო და შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშგების წარმდგენი ჯგუფი 10
2. მომზადების საფუძველი 11
3. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება 13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 14
5. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა 32
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 36
7. წმინდა ხარჯი ვალების შეგროვების საქმიანობებიდან 36
8. გაყიდვის ხარჯი 36
9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 36
10. სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა 37
11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება 37
12. ფინანსური იჯარის მოთხოვნები 38
13. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები 41
14. საკრედიტო ზარალის ხარჯი 45
15. სხვა მოთხოვნები 46
16. ფული ბანკში 46
17. კაპიტალი და კაპიტალის მართვა 46
18. სესხები და კრედიტები 47
19. სხვა ვალდებულებები 48
20. ანარიცხი ფინანსური გარანტიისთვის 48
21. იჯარები 49
22. ვალდებულებები 50
23. პირობითი ვალდებულებები 50
24. დაკავშირებული მხარეები 51
25. შემდგომი მოვლენები 53

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მოგო“-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მოგო“-ს (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 23 (b) შენიშვნაშია მოცემული, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი თვლის, რომ მოსალოდნელია, რომ საგადასახადო ორგანო გაითვალისწინებს ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების საგადასახადო მიდგომას. თუმცა, აღნიშნულ მსჯელობას მხარს არ უჭერს შესაბამისი საგადასახადო დავებთან დაკავშირებული პრაქტიკა და მოსალოდნელია ჯგუფიდან არსებითი ეკონომიკური სარგებლის გადინება. გაურკვეველი საგადასახადო მიდგომის გავლენის ასახვა მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, ბასს 12 "მოგების გადასახადები" და ფასიკ 23 "მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა"-ს მიხედვით: თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი, რომ კონკრეტული საგადასახადო მიდგომა მიღებულია საგადასახადო ორგანოს მიერ, საწარმომ უნდა გამოიყენოს ყველაზე სავარაუდო ოდენობა ან საგადასახადო მიდგომის მოსალოდნელი ღირებულება. აღნიშნული გარემოება განაპირობა ხელმძღვანელობის მიერ წინა ფინანსურ წელს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რის გამოც მოცემული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოვხატავთ პირობით მოსაზრებას. მსგავსი საგადასახადო გავლენის აღიარების შემთხვევაში, გავლენა 2,700 ათასი ლარით გაზრდიდა საგადასახადო ვალდებულებას და შეამცირებდა გაუნაწილებელ მოგებას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე “- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შპს მოგოს შვილობილი კომპანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის არაარსებითი, შესაბამისად 2023 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობს არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იდენტურია კომპანიის 2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 ივნისი 2024 წელი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	36,755	38,221
აქტივების გამოყენების უფლება	11	1,557,784	1,209,966
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	12	22,252,215	18,278,354
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	13	10,357,090	9,978,131
		34,203,844	**29,504,672**
მოკლევადიანი აქტივები			
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	12	10,526,928	10,827,447
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	13	6,691,658	7,736,000
საგადასახადო აქტივები		3,151,268	3,296,309
სხვა მოთხოვნები	15	916,268	879,273
ფულადი სახსრები ბანკში	16	9,251,851	2,359,556
		30,537,973	**25,098,585**
სულ აქტივები		**64,741,817**	**54,603,257**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	200,000	200,000
სხვა რეზერვები	17	(233,845)	(233,845)
გაუნაწილებელი მოგება		57,673,078	47,334,251
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(1,842)	-
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნებელი კაპიტალი		**57,637,391**	**47,300,406**
არამაკონტროლებელი წილი		(38)	-
სულ კაპიტალი		**57,637,353**	**47,300,406**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	18	2,906,660	2,863,326
ანარიცხი ფინანსური გარანტიისთვის	20	1,080	51,008
საიჯარო ვალდებულებები	21	1,071,339	706,211
		3,979,079	**3,620,545**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	18	1,701,049	2,480,728
საიჯარო ვალდებულებები	21	444,944	422,447
სავაჭრო ვალდებულებები		169,819	153,287
სხვა ვალდებულებები	19	809,573	625,844
		3,125,385	**3,682,306**
სულ ვალდებულებები		**7,104,464**	**7,302,851**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**64,741,817**	**54,603,257**

10-53 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოგო და შვილობილი კომპანია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	6	19,821,242	20,451,915
საპროცენტო ხარჯი	6	(378,795)	(1,494,865)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**19,442,447**	**18,957,050**
წმინდა ხარჯი ვალების შეგროვების საქმიანობებიდან	7	(202,231)	(389,516)
შემოსავალი მიღებული ჯარიმებიდან		2,874,826	3,104,543
საკრედიტო ზარალის ხარჯი		(4,445,737)	(4,349,733)
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	14	(205,088)	(2,459)
პირინგული პლატფორმების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები		(64,460)	(171,180)
გაყიდვის ხარჯები	8	(549,407)	(335,131)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(7,773,036)	(8,437,488)
სხვა საოპერაციო შემოსავალები	10	1,426,049	1,319,247
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(135,177)	(198,013)
წმინდა საოპერაციო ხარჯები		**(9,074,261)**	**(9,459,730)**
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(29,359)	3,417,152
მოგება დაბეგვრამდე		**10,338,827**	**12,914,472**
სხვა სრული შემოსავალი			
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(1,880)	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**10,336,947**	**12,914,472**
წმინდა მოგება მისაკუთვნებელი:			
ჯგუფის მესაკუთრეებზე		10,338,827	12,914,472
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		-	-
		10,338,827	**12,914,472**
მთლიანი სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:		-	-
ჯგუფის მესაკუთრეებზე		10,336,985	12,914,472
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(38)	-
		10,336,947	**12,914,472**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2023 წლის 17 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ შოთა კეკელია

მთავარი ბუღალტერი _____ ნატო ვაჩნაძე

10-53 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის მოგება		**10,338,827**	**12,914,472**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	719,980	814,529
საპროცენტო ხარჯი	6	378,795	1,494,865
ძირითადი საშუალებებისა და აქტივის გამოყენების უფლების გასვლიდან მიღებული ზარალი		292	9,095
შემოსავალი გარანტიებიდან	20	(48,901)	(234,716)
საკრედიტო ზარალის ხარჯი	14	4,445,737	4,349,733
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა მოგება		(29,359)	(3,417,152)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**15,805,371**	**15,930,826**
ცვლილებები:			
ფინანსური იჯარის მოთხოვნებში და კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებში		(7,453,688)	(818,926)
სხვა მოთხოვნებში და საგადასახადო აქტივებში		132,244	457,010
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		229,672	(654,704)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		**8,713,599**	**14,914,206**
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	21	(80,277)	(99,671)
სესხებზე და კრედიტებზე გადახდილი პროცენტი	18	(284,880)	(1,464,079)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		**8,348,442**	**13,350,456**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(22,136)	(8,379)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(22,136)**	**(8,379)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან	18	6,305,318	13,064,104
სესხები და კრედიტების დაფარვა	18	(7,128,391)	(24,620,776)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	21	(638,000)	(695,862)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,461,073)**	**(12,252,534)**
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**6,865,233**	**1,089,543**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	16	**2,359,556**	**1,815,364**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		27,062	(545,351)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	16	**9,251,851**	**2,359,556**

10-53 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მოგო და შვილობილი კომპანია

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი						
	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	მესაკუთრეთა კაპიტალი, სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**200,000**	**(2,833,431)**	**36,175,611**	**-**	**33,542,180**	**-**	**33,542,180**
წლის სრული შემოსავალი	-	-	12,914,472	-	**12,914,472**	-	**12,914,472**
გარანტიების სამართლიანი ღირებულების შემცირება (შენიშვნა 20)	-	2,599,586	(1,755,832)	-	**843,754**	-	**843,754**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**200,000**	**(233,845)**	**47,334,251**	**-**	**47,300,406**	**-**	**47,300,406**
წლის სრული შემოსავალი	-	-	10,338,827	-	**10,338,827**		**10,338,827**
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	(1,842)	**(1,842)**	(38)	**(1,880)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**200,000**	**(233,845)**	**57,673,078**	**(1,842)**	**57,637,391**	**(38)**	**57,637,353**

10-53 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ანგარიშგების წარმდგენი ჯგუფი

საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკაში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკაში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკაში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოსა და უზბეკეთის ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მოგო“ (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 14 მარტს. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404468688.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ოთარ ჩხეიძის #10; 0160 თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში ავტომობილების იჯარისა და გაყიდვისა და უკუიჯარის მომსახურების გაწევა 60,000 ლარამდე ოდენობით, შვიდ წლამდე ვადით. ორივე შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება გირაოს სახით და შესაბამისად, ჯგუფის მიერ გაცემული ყველა სესხი არის უზრუნველყოფილი. დაფინანსება შეთავაზებულია კლიენტთა მომსახურების ცენტრებში.

31 დეკემბრისთვის, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა არის შემდეგი:

	საკუთრების სტრუქტურა, %	
მესაკუთრეები	**2022**	**2021**
JSC AS Eleving Stella, Latvia (მშობელი საწარმო)	100%	-
JSC AS Eleving Luna, Latvia(მშობელი საწარმო)	-	100%
	100%	**100%**

2021 წელს, საბოლოო მშობელ კომპანიას, "Mogo Finance S.A."-ს, გადაერქვა სახელი და გახდა "Eleving Group S.A." და 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს "Eveling Group S.A." ("საბოლოო მშობელი კომპანია").

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არ აკონტროლებს კომპანიას ინდივიდუალურად.

(*) – 2023 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებულია ხელშეკრულების მიხედვით, შპს მოგოს 100%-იანი წილი AS Eleving Luna-სგან (ს/ნ 40203145805) გადაეცა AS Eleving Stella-ს (ს/ნ 40103964830). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 25-ე შენიშვნა.

შპს მოგოს შვილობილი საწარმოები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შვილობილი საწარმოს დასახელება	**ქვეყანა**	**მთავარი საქმიანობა**	**31.12.2023**	**31.12.2022**
Mogo Finance Mikromoliya Tashkiloti LLC *	უზბეკეთის რესპუბლიკა	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	100%	-

(*) - 2023 წლის მარტში შპს Mogo-ს ერთპიროვნული მფლობელის - AS Eleving Luna-ს გადაწყვეტილებით, დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Mogo Finance Mikromoliya Tashkiloti და დარეგისტრირდა უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რეესტრში უზბეკეთის რესპუბლიკის წესებისა და კანონების შესაბამისად.

ახლადშექმნილი შპს-ს საქმიანობის უზრუნველსაყოფად, საწესდებო ფონდი განისაზღვრა 2,000,000,000 (ორი მილიარდი) უზბეკური სუმის ოდენობით, რომელიც უნდა შეივსოს დამფუძნებლების ფულადი შენატანების ან ძირითადი საშუალებების ხარჯზე შპს-ს რეგისტრაციის დღიდან 1 წლის განმავლობაში.

1. ანგარიშგების წარმდგენი ჯგუფი (გაგრძელება)

2023 წლის 20 აპრილს შპს მოგომ განახორციელა 174,500 აშშ დოლარის შენატანი Mogo Finance Mikromoliya Tashkiloti-ის კაპიტალში, რის საფუძველზეც გახდა ახლადშექმნილი კომპანიის 98%-იანი წილის მფლობელი.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შპს მოგს შვილობილი კომპანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის არაარსებითი, შესაბამისად 2023 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობს არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იდენტურია კომპანიის 2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე (ლარი), გარდა სხვაგვარად მითითებულისა.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ქვემოთ წარმოდგენილ საღრიცხვო პოლიტიკებში მითითებულისა.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) საღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- საღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

საღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის საღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს,

არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება).

2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გაცვლითი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტება ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, შეტანილია შემდეგ შენიშვნებში::

- შენიშვნა 14 – საკრედიტო ზარალის ხარჯი;
- შენიშვნა 20 – ანარიცხი ფინანსური გარანტიისთვის.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ,

3. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება (გაგრძელება)

მოცემულია შემდეგ შენიშვნაში:

- გამოშვებული ფინანსური გარანტიის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა - შენიშვნა 20 და 4(j);
- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: იმ ბიზნეს მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ფლობილია აქტივები და შეფასება იმისა, არის თუ არა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდები– შენიშვნა 4(i) და 4(o).
- ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის ამოსავალი მონაცემების განსაზღვრა, მათ შორის მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის გათვალისწინება – შენიშვნა 12, 13, 14 და 4(l).

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკები და განმარტებები ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას მოითხოვს. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.

დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).

დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 5(a) - სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე;

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

(b) შემოსავალი ვალების შეგროვების საქმიანობებიდან და გამომუშავებული ჯარიმები

შემოსავალი ვალის შეგროვების საქმიანობებიდან და ჯარიმებიდან აღიარებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მაშინ როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ანაზღაურება მსგავსი მომსახურებისთვის იქნება გადახდილი, მაშასადამე შემოსავალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფაქტობრივი გადახდა გაწეული მომსახურებისთვის რეალურად არის მიღებული. შემოსავალი ჯარიმებიდან წარმოიშვება იმ შემთხვევაში თუ კლიენტები დაარღვევენ იჯარის ან სასესხო ხელშეკრულებების სახელშეკრულებო პირობებს, როგორიც არის გადახდის თარიღის ვადაგადაცილება. მსგავს სიტუაციებში, ჯგუფს უფლება აქვს ჯარიმა დაარიცხოს კლიენტებს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით. ჯგუფი ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფულადი სახსრების მიღებისას, რადგან ანგარიშსწორების ალბათობა და ვადები არ არის ზუსტი. იმ შემთხვევაში თუ კლიენტები არ დაფარავენ ჯარიმის ოდენობას, ჯგუფიუფლებამოსილია გირაოს დასაკუთრება აღასრულოს.

შემოსავალი ვალის შეგროვების საქმიანობებიდან, როგორც წესი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კლიენტები ვადადამდგარ გადახდებს დააგვიანებენ. ჯგუფის შემოსავალი მოიცავს ჯგუფის მიერ ვალის მართვასთან დაკავშირებით გაწეული შიდა და გარე ხარჯების ანაზღაურებას, იურიდიულ მოსაკრებლებს, ასევე სატრანსპორტო საშუალების დასაკუთრებას იჯარის ან სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც ხელახლა არის დარიცხული კლიენტებზე ხელშეკრულების პირობების მიხედვით. შემოსავალი ვალების შეგროვებიდან აღიარდება წმინდა (აგენტი) საფუძველზე, აღნიშნული ოდენობები ხელახლა არის დარიცხული კლიენტებზე სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და ჯგუფი არ აკონტროლებს აღნიშნულ მომსახურებებს მათი კლიენტზე გადაცემამდე. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც შესაბამისი მომსახურება იქნება ხელახლა დარიცხული კლიენტზე შემდეგი თვიური ინვოისის გაცემისას, იჯარის ან სესხის ხელშეკრულების გრაფიკის მიხედვით.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი;
- სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია ჯგუფის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე მოგების გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც, ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2018 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

(g) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და/ან დაგროვილი გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მსგავსი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივებად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადებით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება სრულმასშტაბიანი შემოწმება, მისი ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცვლელი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს.

ძირითადი საშუალებების ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება, და მისი ღირებულების სანდოდ შეფასება შესაძლებელია. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ცვეთა

ცვეთა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. ფასდება ინდივიდუალური აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

- აღჭურვილობა - 2-5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 2-5 წელი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული, ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მათი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

(h) ოპერაციები პირინგულ პლატფორმებთან

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის შეთანხმება პირინგული (P2P) საინვესტიციო ინტერნეტ პლატფორმის ოპერატორთან. თანამშრომლობის შეთანხმებები და მათთან დაკავშირებული უფლების დათმობის ხელშეკრულებები ძალაშია მანამ, სანამ მხარეები შეთანხმდებიან მათ შეწყვეტაზე. თანამშრომლობის შეთანხმების მიზანი ჯგუფისთვის არის დაფინანსების მოზიდვა P2P პლატფორმის მეშვეობით.

P2P ინდივიდუალურ და კორპორატიულ ინვესტორებს საშუალებას აძლევს, მიიღონ პროცენტის და ძირითადი თანხის სრული პროპორციული ფულადი ნაკადები ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებიდან წინასწარი გადახდის სანაცვლოდ. ეს უფლებები განისაზღვრება ინვესტორებსა და P2P პლატფორმას შორის უფლების დათმობის ხელშეკრულებებით, რომელშიც ეს უკანასკნელი მოქმედებს აგენტის სახით ჯგუფის სახელით.

უფლების დათმობის ხელშეკრულებების ორი სახეობა არსებობს:

- ხელშეკრულებები კომპენსაციის მოთხოვნის უფლებით, რომლებითაც ჯგუფს ევალება ინვესტორის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების მთლიანად გადახდის გარანტირება, თუ ჯგუფის კლიენტი ვერ შეასრულებს გადახდის ვალდებულებას (გამოსყიდვის გარანტია);

- ხელშეკრულებები კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე, რომლებითაც ჯგუფს არ ევალება ინვესტორის მიერ დაბანდებული ფულადი სახსრების გადახდის გარანტირება, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს გადახდის ვალდებულებას (გამოსყიდვის გარანტიის გარეშე);

ჯგუფს მხოლოდ პირველი ტიპის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ინვესტორებთან.

პირინგული პლატფორმების მეშვეობით მოზიდული ფულადი სახსრები

უფლების დათმობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს ინვესტორებისგან მიღებულ საზღაურს გამოკლებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ინვესტორების მიმართ ვალდებულებების აღიარება ხდება სესხებსა და კრედიტებში (18-ე შენიშვნა) და აღირიცხება, როგორც მიღებული სესხები.

უფლების დათმობა კომპენსაციის მოთხოვნის უფლებით ჯგუფს აძლევს კომპენსაციის პირდაპირ მოთხოვნის უფლებას, ამრიგად, არ აკმაყოფილებს ფასს 9-ის შესაბამისად გადაცემის ხელშეკრულებად კლასიფიცირების მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, ჯგუფის შესაბამისი სავალო ინსტრუმენტები არ ჩაითვლება ნაწილობრივ აღიარებაშეწყვეტილად და ინვესტორებისთვის გადახდილი საპროცენტო ხარჯი აისახება ბრუტო ოდენობით საპროცენტო ხარჯში (მე-6 შენიშვნა).

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღიარდება მაშინ როდესაც ფულადი სახსრები კლიენტების ანგარიშებზე არის გადარიცხული. სხვა აქტივები აღიარდება იმ თარიღისთვის როდესაც ჯგუფი დებს ხელშეკრულებას, რაც ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოშობს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს მოდელზე, რომელიც აღწერილია შემდგომ, სააღრიცხვო პოლიტიკებში. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით (რომელიც როგორც წესი გარიგების ფასის ტოლია), რომელიც კორექტირებულია მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯებით, გარდა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ჯგუფი მის კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებს, დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებს, მოთხოვნებს დაკავშირებული მხარეების მიმართ, ფულადი სახსრების ეკვივალენტებს და სხვა მოთხოვნებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით თუ ორივე შემდეგი პირობა არის დაკმაყოფილებული.

- ფინანსური აქტივი ფლობილია იმ ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად;
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს (SPPI).

ბიზნეს მოდელის შეფასება

ჯგუფი თავის ბიზნეს მოდელს განსაზღვრავს იმ დონეზე, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფს თავისი მიზნის მისაღწევად – რისკებს, რომლებიც ამ ბიზნეს მოდელის ეფექტურობაზე მოქმედებს (და ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და ამ რისკების მართვის გზებს. წინა პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, აღნიშნული გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვების საქმიანობაზე, ჯგუფის შეფასების მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს. თუმცა, ინფორმაცია გაყიდვების საქმიანობაზე არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებლად, არამედ როგორც ზოგადი შეფასების ნაწილი თუ როგორ მიიღწევა ჯგუფის გაცხადებული მიზანი ფინანსური აქტივების მართვისთვის და როგორ იქნება რეალიზებული ფულადი ნაკადები. ბიზნეს მოდელის შეფასება ეყრდნობა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ჯგუფის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ჯგუფი ამ ბიზნეს მოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას. შეფასებული ბიზნეს მოდელის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვების მიზნით. აღნიშნული პორტფელებიდან გაყიდვების ოპერაციები საკრედიტო შემთხვევებს უკავშირდება. სესხები პორტფელებიდან შეიძლება გაყიდულ იქნეს ვალების შემგროვებელ სააგენტოებზე, მაშინ როდესაც შესაბამისმა მევალეებმა განიცადეს დეფოლტი მათ ვალდებულებებზე. ფინანსური აქტივები ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი იქნება რეკლასიფიცირებული. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება.

SPPI ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპზე ჯგუფი, შესაბამის შემთხვევაში, აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას (SPPI კრიტერიუმს). SPPI ტესტირებას დაქვემდებარებული ფინანსური აქტივები მოიცავს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებს (გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებებიდან წარმოშობილი ფინანსური აქტივების ჩათვლით, წინამდებარე შენიშვნის ცალკე სექციაში აღწერილის შესაბამისად) და დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს მოიცავს. "ძირი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია). პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები საკრედიტო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არის ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება და საკრედიტო რისკი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმის შეფასებისას არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები SPPI, ჯგუფი ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს ითვალისწინებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელიც შეცვლიდა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს, იმგვარად რომ ის აღარ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობას. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას, ჯგუფი ძირითადად ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი ვითარებები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს;
- ავანსის და გახანგრძლივების პირობები; და
- პირობები, რომლებიც ზღუდავს ჯგუფის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (ანუ სესხები რეგრესის უფლების გარეშე).

ზოგადად, სასესხო ხელშეკრულებები ადგენს, რომ დეფოლტის ან გირაოს დასაკუთრების შემთხვევაში მოთხოვნა არ არის შეზღუდული გირაოს დასაკუთრებით და თუ გირაოს ღირებულება არ ფარავს ნარჩენი ვალის ოდენობას, შესაძლებელია მსესხებლისგან დამატებითი რესურსების მოთხოვნა საკრედიტო რისკის ზარალების კომპენსაციისთვის. შესაბამისად, აღნიშნული ასპექტი არ ქმნის SPPI ტესტირების გავლის დაბრკოლებებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევებში, ჯგუფის მიერ გაცემული სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია მსესხებლის გირაოთი ზღუდავს კომპანიის მხრიდან შესაბამისი გირაოს ფულადი ნაკადების მოთხოვნის უფლებას (სესხები რეგრესის უფლების გარეშე). ჯგუფი იყენებს მსჯელობას იმის შეფასებისას აკმაყოფილებენ თუ არა სესხები რეგრესის უფლების გარეშე SPPI კრიტერიუმს. ჯგუფი, როგორც წესი, აღნიშნული მსჯელობის დროს შემდეგ ინფორმაციას ითვალისწინებს:

- განსაზღვრავს თუ არა სახელშეკრულებო შეთანხმება სესხის ფულადი გადახდების კონკრეტულ ოდენობას და თარიღებს;
- გირაოს სამართლიანი ღირებულება შესაბამისი სესხის ოდენობასთან მიმართებაში;
- მსესხებლის უნარი და სურვილი განახორციელოს სახელშეკრულებო გადახდები, გირაოს ღირებულების კლების მიუხედავად;
- ჯგუფის ზარალის რისკი რეგრესის უფლებით სესხთან დაკავშირებულ აქტივზე; და
- მიიღებს თუ არა ჯგუფი რაიმე სარგებელს შესაბამისი აქტივების ღირებულების ზრდიდან.

გამოყენებული მსჯელობის მიხედვით, სესხები რეგრესის უფლების გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფილია მსესხებლის გირაოთი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ჯგუფი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა, როდესაც ჯგუფი იძენს, ყიდის ან წყვეტს ბიზნეს ხაზს და ცვლის მისი ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება.

ფინანსური აქტივების და ფინანსური იჯარის მოთხოვნების აღიარების შეწყვეტა

ქვემოთ წარმოდგენილი აღიარების შეწყვეტის პირობები გამოიყენება ყველა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან და საიჯარო მოთხოვნებთან მიმართებაში.

აღიარების შეწყვეტა ვადების და პირობების არსებითი მოდიფიცირების შედეგად

ჯგუფი წყვეტს კლიენტზე გაცემული სესხის ან ფინანსური იჯარის მოთხოვნის აღიარებას, როდესაც მისი ვადები და პირობები იცვლება იმდენად, რომ ის არსებითად სხვა სესხად ან იჯარად გარდაიქმნება, ხოლო სხვაობა აღიარდება აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგების ან ზარალის სახით, იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების ზარალი არ არის უკვე აღიარებული. ახლად აღიარებული სესხები ან საიჯარო მოთხოვნები კლასიფიცირებულია 1-ელ ეტაპზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, გარდა შემთხვევებისა როდესაც ახალი ფინანსური აქტივი მიჩნეულია შექმნილ ან შეძენილ საკრედიტო რისკით გაუფასურებულ აქტივად (POCI).

იმის შეფასებისას უნდა შეწყდეს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური იჯარის მოთხოვნის აღიარება, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები და ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებს:

- ცვლილება სესხის/ფინანსური იჯარის მოთხოვნის ვალუტაში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- კონტრაჰენტის ცვლილება

- თუ მოდიფიცირება არის იმგვარი, რომ ინსტრუმენტი აღარ აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს ფინანსური აქტივისთვის

- დაკმაყოფილებულია თუ არა იურიდიული ვალდებულებები.

- ამასთანავე, კლიენტებზე გაცემული სესხებისთვის და ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის ჯგუფი კონკრეტულად განიხილავს მოდიფიცირების მიზანს იჯარის ვადის გაზრდისთვის. ფასდება ის თუ რატომ განხორციელდა მოდიფიცირება: კომერციული მიზნებისთვის კლიენტის ინიციატივით თუ კრედიტის რესტრუქტურიზაციის მიზნებისთვის. ხელმძღვანელობამ გაანალიზა ბიზნეს მიზეზების გამო განხორციელებული ცვლილებები და შეაფასა, რომ ბიზნეს მიზეზების გამო განხორციელებული ცვლილებები იწვევს ვადებისა და პირობების არსებით მოდიფიცირებას. აღნიშნული შეესაბამება აღნიშნული მოდიფიცირების მიზანს შექმნას ახალი აქტივი არსებითად განსხვავებულ პირობებზე.

თუ უშუალოდ ცვლილებამდე კონტრაჰენტის ვადაგადაცილებული დღეები 5 დღეზე ნაკლებია და ფინანსური აქტივის მახასიათებლები არსებითად არის მოდიფიცირებული (ანუ საშუალოდ ფინანსური აქტივის ვადა იზრდება რამდენიმე წლით და არსებითად ცვლის აქტივის ვადიანობის სტრუქტურას), შესაბამისი მოდიფიცირება მიჩნეულია როგორც კომერციული მიზნებისთვის განხორციელებული და თავდაპირველი ფინანსური იჯარის/სასესხო მოთხოვნის აღარების შეწყვეტას იწვევს.

სახელშეკრულებო პირობების სხვა ცვლილებები მიჩნეულია ისეთ მოდიფიცირებებად, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას (იხილეთ "მოდიფიცირებების" სექცია ქვემოთ).

აღიარების შეწყვეტა გარდა არსებითი მოდიფიცირებისა

ფინანსური აქტივის ან ფინანსური იჯარის მოთხოვნის (ან, შესაბამისობის შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური იჯარის მოთხოვნის ნაწილი ან ჯგუფის მსგავსი ფინანსური აქტივების ან ფინანსური იჯარის მოთხოვნების ნაწილი) აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური იჯარის მოთხოვნიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს ვადა გასდის. ჯგუფიასევე წყვეტს ფინანსური აქტივის ან ფინანსური იჯარის მოთხოვნის აღიარებას, როდესაც ჯგუფმა გადასცა როგორც ფინანსური აქტივი ასევე ფინანსური იჯარის მოთხოვნა და გადაცემა აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივი ან ფინანსური იჯარის მოთხოვნა თუ ჯგუფმა გადასცა მისი სახელშეკრულებო უფლებები ფინანსური აქტივისგან ან ფინანსური იჯარის მოთხოვნისგან ფულადი ნაკადების მიღებაზე.

ჯგუფმა გადასცა აქტივი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე სახელშეკრულებო უფლებები ან

- ჯგუფი ინარჩუნებს ფულად ნაკადებზე უფლებებს, მაგრამ კისრულობს ვალდებულებას სრულად გადაუხადოს მიღებული ფულადი ნაკადები, არსებითი დაგვიანების გარეშე, მესამე მხარეს "გამავალი" გარიგების ფარგლებში.

გამავალი გარიგებები წარმოადგენს გარიგებებს, რომლებშიც ჯგუფი ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ("თავდაპირველი აქტივი") ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ კისრულობს სახელშეკრულებო ვალდებულებას გადაუხადოს აღნიშნული ფულადი ნაკადები ერთ ან მეტ საწარმოს ("საბოლოო მიმღებები"), როდესაც ქვემოთ მოცემული სამივე პირობა არის დაკმაყოფილებული:

- ჯგუფი არ არის ვალდებული გადაუხადოს ოდენობები საბოლოო მიმღებებს, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფმა თავდაპირველი აქტივისგან ეკვივალენტური ოდენობები შეაგროვა, გარდა საწარმოს მიერ გადახდილი მოკლევადიანი ავანსებისა ნასესხები ოდენობის მთლიანი ამოღების უფლებით, დამატებული დარიცხული პროცენტი საბაზრო განაკვეთით;

- ჯგუფს არ შეუძლია გაყიდოს ან დააგირაოს თავდაპირველი აქტივი, გარდა საბოლოო მიმღებებისთვის უზრუნველყოფის სახით მათთვის ფულადი ნაკადების გადახდის ვალდებულებისთვის;

- ჯგუფმა, არსებითი დაგვიანების გარეშე უნდა გადასცეს ნებისმიერი ფულადი ნაკადები, რომლებსაც ის საბოლოო მიმღებების სახელით აგროვებს. ამასთანავე, ჯგუფს არ აქვს მსგავსი ფულადი ნაკადების რეინვესტირების უფლება, გარდა ინვესტიციებისა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში, შეგროვების თარიღიდან საბოლოო მიმღებებზე გადაცემის თარიღამდე მოკლე დაფარვის პერიოდის განმავლობაში, და მსგავსი ინვესტიციებიდან მიღებული პროცენტი საბოლოო მიმღებებზე არის გადაცემული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- გადაცემა კვალიფიცირდება აღიარების შეწყვეტის სახით თუ:

- ჯგუფმა გადასცა აქტივის არსებითად ყველა რისკი და ანაზღაურება, ან

- ჯგუფმა არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ანაზღაურება, მაგრამ გადასცა აქტივის კონტროლის უფლება.

მოდიფიცირებები

მსესხებლის ფინანსური სირთულეების საპასუხოდ, ჯგუფი, გირაოს დასაკუთრების ან გირაოს სხვაგვარად შეგროვების მაგივრად, ხანდახან სესხების/იჯარის თავდაპირველ პირობებს ცვლის. ჯგუფი სესხს/იჯარას მიიჩნევს რესტრუქტურიზებულად როდესაც მსგავსი ცვლილებები შეტანილია მსესხებლის მიმდინარე ან მოსალოდნელი ფინანსური სირთულეების გამო და ჯგუფი არ დათანხმდებოდა აღნიშნულ ცვლილებებს თუ მსესხებელს ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა ექნებოდა. ფინანსური სირთულეების მაჩვენებლები მოიცავს დეფოლტს ან ვადაგადაცილებულ დღეებს, მოდიფიცირებამდე. მსგავსი მოდიფიცირებები შეიძლება მოიცავდეს გადახდის პირობების გახანგრძლივებას და ახალ სასესხო პირობებზე შეთანხმებას.

თუ მოდიფიცირება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, როგორც ეს ზემოთ არის წარმოდგენილი, მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ფულადი ნაკადების ცვლილებების მიხედვით, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ჯგუფი აღრიცხავს ცვლილებიდან მიღებულ ამონაგებს ან ზარალს საპროცენტო შემოსავლის/ხარჯის სახით (რომელიც გამოითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდით) მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ უკვე არ არის აღიარებული გაუფასურების ზარალი.

თუ მოდიფიცირება კომერციული მიზეზების გამო ხორციელდება, მაშინ მიჩნეულია რომ ის თავდაპირველი იჯარის/სასესხო მოთხოვნის აღიარების შეწყვეტას გამოიწვევს. მსგავსი მოდიფიცირებები მოიცავს იჯარის ოდენობის და იჯარის ვადის ზრდას, რომელიც შეთანხმებულია კლიენტებთან კომერციული მიზნებისთვის (მაგ. კლიენტები და ჯგუფი ორივე დაინტერესებულია იჯარის/სასესხო გარიგების მიზნის არსებით მოდიფიცირებაში). როდესაც დგება მსგავსი ხელშეკრულება მოდიფიცირების შესახებ, ძველი ხელშეკრულების და შესაბამისი მოთხოვნის აღიარება წყდება.

არა-არსებითი მოდიფიცირებების კლასიფიკაცია

თუ ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოლოდინები არის გადახედილი საკრედიტო რისკის გარდა სხვა მიზეზების გამო, მაშინ მომავალი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილებები დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, საბალანსო ღირებულების შემდგომი კორექტირებით. სხვაობა წინა საბალანსო ღირებულებასთან შედარებით აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების დადებითი ან უარყოფითი კორექტირება ფინანსური მდგომაროების ანგარიშგებაში, საპროცენტო შემოსავლის/ხარჯის შესაბამისი ზრდით ან შემცირებით (რომელიც გამოთვლილია ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით).

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირებულია თუ ჯგუფი შეცვლის გადახდების ან ფულადი სახსრების მიღებების შეფასებებს. თუ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, გამოითვლება მოდიფიცირების შედეგად მიღებული ამონაგები/ზარალი. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით.

ცვლილებები აქტივის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ინსტრუმენტის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში. მაშასადამე, თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადაიხედება მოდიფიცირებისას ნებისმიერი გაწეული ხარჯის ან საფასურის ასახვის მიზნით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ან ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს და კრედიტებს, პირინგული პლატფორმებიდან მოზიდული დაფინანსების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. წმინდა ამონაგები ან ზარალი (ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით) სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ვალდებულებებზე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ჯგუფი არ განსაზღვრავს არცერთ ფინანსურ ვალდებულებას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და კრედიტები

ეს არის ჯგუფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები და კრედიტები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც ვალდებულებების აღიარება წყდება; საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესის საშუალებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება ნებისმიერი დისკონტირების ან შესყიდვაზე პრემიის და საფასურის ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შეტანილია ფინანსური ხარჯების სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ეს კატეგორია ზოგადად შეესაბამება პროცენტიან სესხებსა და კრედიტებს.

ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ჯგუფი მოდიფიცირებას არსებითად მიიჩნევს ხარისხობრივი ფაქტორების მიხედვით და თუ მოდიფიცირების შედეგად გაჩნდა სხვაობა კორექტირებულ დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებასა და ფინანსური ვალდებულების თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც ტოლია ან მეტია 10 პროცენტზე. თუ მოდიფიცირება არსებითია, მაშინ აღიარების შეწყვეტისას აღირიცხება ამონაგები ან ზარალი. თუ მოდიფიცირება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, მაშინ მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების ცვლილების მიხედვით ჯგუფი აღრიცხავს მოდიფიცირების შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს.

არა-არსებითი მოდიფიცირებების კლასიფიკაცია

თუ ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების მოლოდინები არის გადახედილი, მაშინ მომავალი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილებები დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, საბალანსო ღირებულების შემდგომი კორექტირებით. სხვაობა წინა საბალანსო ღირებულებასთან შედარებით აღირიცხება როგორც ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულების დადებითი ან უარყოფითი კორექტირება ფინანსური მდგომაროების ანგარიშგებაში, საპროცენტო შემოსავლის/ხარჯის შესაბამისი ზრდით ან შემცირებით (რომელიც გამოთვლილია ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით).

ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირებულია თუ ჯგუფი შეცვლის გადახდების ან ფულადი სახსრების მიღებების შეფასებებს. თუ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების ცვლილება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, გამოითვლება მოდიფიცირების შედეგად მიღებული ამონაგები/ზარალი. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვლილებები აქტივის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

მაშასადამე, თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადაიხედება მოდიფიცირებისას ნებისმიერი გაწეული ხარჯის ან საფასურის ასახვის მიზნით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ჯგუფი მოდიფიცირებას არსებითად მიიჩნევს ხარისხობრივი ფაქტორების მიხედვით და თუ ცვლილების შედეგად გაჩნდა სხვაობა კორექტირებულ დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებასა და ფინანსური ვალდებულების თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც ტოლია ან მეტია 10 პროცენტზე.

(j) ფინანსური გარანტიები

როდესაც ხელშეკრულება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების განმარტებას აკმაყოფილებს, ჯგუფი, როგორც ემიტენტი, იყენებს ფასს 9-ის განსაკუთრებულ აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს. აღნიშნული ფასს 9-ის შეფასების მოთხოვნები გამოიყენება ყველა საგარანტიო ხელშეკრულებასთან მიმართებაში, მათ შორის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს შორის გაცემული გარანტიები, ასევე შვილობილი ჯგუფის მიერ მშობელი ჯგუფის სახელით გაცემული გარანტიები. თუ ჯგუფი გასცემს გარანტიას საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს სახელით, შესაბამისი ანარიცხი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. როდესაც გარიგება ჯგუფის აქციონერების მიერ დგება (რომლებიც მათი მესაკუთრეების უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებენ), ჯგუფი მსგავს გარიგებებს ფინანსური გარანტიებისთვის ანარიცხების ზრდის სახით და იგივე ოდენობით, მაგრამ საპირისპირო კაპიტალის შემცირების სახით განიხილავს (როგორც კაპიტალის განაწილება). კაპიტალის განაწილება ფინანსური გარანტიების ფარგლებში აღიარდება სხვა რეზერვების სახით.

ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, გარდა შემთხვევებისა როდესაც ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად განსაზღვრულია როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული, ჯგუფის ვალდებულება თითოეული გარანტიის ფარგლებში ფასდება თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია აღიარებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალი ანგარიშგებაში) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის (განსაზღვრული ფასს 9-ის მიხედვით) ოდენობას შორის უდიდესით. ამორტიზაცია აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში წრფივი მეთოდით გარანტიის ვადის მანძილზე.

ფინანსური გარანტიების აღიარება წყდება თუ არსებითად იცვლება გარანტიის პირობები. ცვლილებები გარანტიის ზღვარში განიხილება როგორც აღიარების შეწყვეტა. მსგავს შემთხვევებში თავდაპირველი გარანტიის აღიარება წყდება და ახალი გარანტია აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ცვლილება სამართლიან ღირებულებაში აღიარდება როგორც სხვა რეზერვების შემცირება ან ზრდა. სხვა რეზერვები გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში ფინანსური გარანტიის ფარგლებში ვალდებულებების განულებისას.

(k) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(l) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ყველა სესხისთვის და სხვა სავალო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არ არის ფლობილი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულის სახით, და ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის (რადგან საიჯარო ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, საიჯარო მოთხოვნა არ მოიცავს არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას, ფასს 9-ის დებულებები გამოიყენება ფინანსური იჯარის მოთხოვნის მთლიან ნაშთზე). ამ სექციაში ყველას ეწოდება "ფინანსური ინსტრუმენტები". თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რისკი არსებითად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე (12-თვიანი მსზ).

თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არსებითად გაიზარდა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე წარმოშობილი

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ან არსებობის მანძილზე მსზ).

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილი, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად დამდგარ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ორივე, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ საფუძველზე, ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამისი პორტფელის ხასიათის მიხედვით.

ჯგუფმა შეიმუშავა პოლიტიკა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იმის შესაფასებლად არსებითად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ინსტრუმენტის ნარჩენი მომსახურების ვადის მანძილზე დეფოლტის მოხდენის რისკის ცვლილების გათვალისწინებით.

ფინანსური იჯარის მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება

საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრება

ჯგუფის ძირითადი ბიზნეს აქტივები - ფინანსური იჯარის მოთხოვნები და კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები - საცალო ბუნებისაა, შესაბამისად ჯგუფდება პროდუქტების მიხედვით (ფინანსური იჯარის მოთხოვნები და კლიენტებზე გაცემული სესხები და კრედიტები) ჯგუფური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისთვის, რომელიც მოდელირებულია ვადაგადაცილებული დღეების კლასიფიკაციის მიხედვით. კერძოდ, ჯგუფი მისი ფინანსური იჯარის მოთხოვნებისა და კლიენტებზე გაცემული სესხების და კრედიტების პორტფელის გასაანალიზებლად დებიტორულ დავალიანებას კატეგორიებად ანაწილებს თითოეული დავალიანების ვადაგადაცილების მაჩვენებლის და შესაბამისი გირაოს არსებობის მიხედვით.

ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს ყველა აქტივს, რომლებზეც მოსალოდნელია საკრედიტო ზარალი. იმის დასადგენად, ინსტრუმენტს ან ინსტრუმენტების პორტფელს ეხება თუ არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ჯგუფი აფასებს, მნიშვნელოვნად ხომ არ არის გაზრდილი საკრედიტო რისკი აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფი ფინანსური იჯარის მოთხოვნებს და კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებს შემდეგ კატეგორიებად ანაწილებს:

ფინანსური იჯარის მოთხოვნები (იჯარა):

1) ვადაგადაცილების გარეშე

2) 30 დღემდე ვადაგადაცილებული;

3) 31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული;

4) 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული.

5) უზრუნველყოფის გარეშე (ზოგადი განმარტება: 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული ან გირაო არ არის ხელმისაწვდომი, ანუ დაკარგული ან გაყიდულია).

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (სესხი):

1) ვადაგადაცილების გარეშე

2) 30 დღემდე ვადაგადაცილებული;

3) 31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული;

4) 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული.

5) უზრუნველყოფის გარეშე (ზოგადი განმარტება: 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული ან გირაო არ არის ხელმისაწვდომი, ანუ დაკარგული ან გაყიდულია).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ჯგუფი აჯგუფებს თავის იჯარებს და სესხებს 1-ელ, მე-2 და მე-3 ეტაპებად, ქვემოთ აღწერილი წესით:

- ეტაპი 1: სესხების/იჯარების თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი ეტაპის იჯარებად ჯგუფი განიხილავს იჯარებს, რომლებიც არის მიმდინარე ან 30 დღემდე ვადაგადაცილებული.

მეორე ეტაპად კლასიფიცირებული დაუფარავი დავალიანების პირველ ეტაპზე გადასანაცვლებლად ერთთვიანი აღდგენის პერიოდი გამოიყენება, სანამ აღნიშნული კრედიტი არ დააკმაყოფილებს პირველი ეტაპის ზოგად კრიტერიუმებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობასთან დაკავშირებით. დაუფარავი დავალიანებები პირველი ეტაპიდან სხვა ეტაპებზე გადაინაცვლებს, თუ ვეღარ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

- ეტაპი 2: როდესაც სესხის/იჯარის წარმოშობის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. ჯგუფი მეორე ეტაპის სესხებად, როგორც წესი, განიხილავს 31-60 დღემდე ვადაგადაცილების მქონე იჯარებს. სესხები მიჩნეულია მეორე ეტაპის სესხებად თუ ვადაგადაცილებული დღეები 30-დან 60-დღემდე დიაპაზონშია. დაუფარავი დავალიანებები მეორე ეტაპზე რჩება ერთთვიანი აღდგენის პერიოდით მაშინაც კი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ისინი სხვაგვარად აკმაყოფილებენ პირველი ეტაპის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

- ეტაპი 3: იჯარები და სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და დეფოლტირებულად მიიჩნევა. ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს. ჯგუფი ფინანსური იჯარის ხელშეკრულებას დეფოლტირებულად მიიჩნევს და მიაკუთვნებს მესამე ეტაპს ყოველთვის, როდესაც მსესხებელი 60 დღით აგვიანებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდას, ან როდესაც წყდება საიჯარო ხელშეკრულება. ჯგუფი სასესხო ხელშეკრულებას დეფოლტირებულად მიიჩნევს და მიაკუთვნებს მესამე ეტაპს ყოველთვის, როდესაც მსესხებელი 60 დღით აგვიანებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდას. დაუფარავი დავალიანებები მესამე ეტაპზე რჩება ორთვიანი აღდგენის პერიოდით მაშინაც კი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში ისინი სხვაგვარად აკმაყოფილებენ მეორე ეტაპის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს. განვითარებადი ქვეყნებისთვის იჯარის/სესხის მეორე ეტაპზე გადასატანად ერთთვიანი აღდგენის პერიოდი გამოიყენება, მსგავსი დაუფარავი დავალიანებების მეორე ეტაპზე გადასაყვანად გამოყენებული ვადაგადაცილებული დღეების უფრო დაბალი ზღვრის გამო.

ჯგუფის საკრედიტო დაქვემდებარებების თავისებური ხასიათის გამო (ერთგვაროვანი და ინდივიდუალურად უმნიშვნელო ფინანსური იჯარის მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების პორტფელები), ხარისხობრივი შეფასება იმისა, არის თუ არა კლიენტი დეფოლტის (გადაუხდელობის) მდგომარეობაში, აღნიშნული დაქვემდებარებებისთვის არ ხდება და, ამის განსაზღვრა, ძირითადად, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ეყრდნობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობით-შეწონილ სცენარებზე დაყრდნობით, რათა შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად ჯგუფისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც ჯგუფი მოელის.

მოდელის ძირითადი კომპონენტებია:

- PD – დეფოლტის ალბათობა არის 12 -თვიანი პერიოდის ან არსებობის მანძილზე დეფოლტის დადგომის ალბათობის შეფასება (დროის პერიოდი მსზ-ს სახეობაზე არის დამოკიდებული -ანუ 12-თვიანი მსზ თუ არსებობის მანძილზე მსზ).

- DDV - დეფოლტის განაწილების ვექტორი არის დეფოლტამდე დროის შეფასება, უფრო კონკრეტულად, იგი უზრუნველყოფს დეფოლტის ალბათობის განაწილებას 12-თვიანი ან არსებობის მანძილზე დროის პერიოდის განმავლობაში.

- EAD – დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული თუ სხვა გადახდები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- LGD – დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას დეფოლტის მომენტისთვის გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის და ფულადი სახსრების შეგროვებასთან ან გირაოს რეალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლების გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დეფოლტირებული დავალიანების პროცენტის სახით.
- არსებობის მანძილზე პერიოდი შეფასებულია როგორც შესაბამისი პორტფელის საშუალო ნარჩენი სახელშეკრულებო ვადა.

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისთვის იყენებს გამრავლების მოდელს ყველა ეტაპისთვის:

მსზ=EAD*PD*LGD*[DDV]

რადგან DDV მრავალგანზომილებიანი ვექტორია (12 ან 13 განზომილებიანი) ის აგრეგირებულია ერთ ღირებულებად, გამრავლებამდე - [DDV]. DDV აგრეგირებული ღირებულება მიიღება შემდეგნაირად:

- DDV-ს თითოეული ღირებულება მრავლდება დისკონტირების ფაქტორზე;
- დისკონტირების ფაქტორი გამოითვლება ჩვეულებრივ (ანუ NPV ფორმულა), სადაც დისკონტირება გამოითვლება პორტფელის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და პერიოდების რაოდენობა შესაბამისი DDV-ს ღირებულების განზომილებას შეესაბამება;
- [DDV], DDV-ს ღირებულებების შესაბამის დისკონტირების ფაქტორებზე ყველა შესაბამისი გამრავლებების ჯამს წარმოადგენს.

ეტაპის მიხედვით, ზოგად მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის მოდელზე შემდეგი სპეციფიკა გამოიყენება:

- ეტაპი 1: 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება. ჯგუფი "12-თვიან მსზ"-ს რეზერვს გამოითვლის 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების და 12-თვიანი დროის პერიოდისთვის DDV-ს გამოყენებით . აღნიშნული 12-თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროგნოზზე, მრავლდება ზარალზე დეფოლტის მომენტისთვის და დისკონტირდება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით DDV-ს გამოყენებით, და ამ გზით მოდელში გათვალისწინებულია დეფოლტამდე დარჩენილი დრო.
- ეტაპი 2: როდესაც სესხის წარმოშობის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. სპეციფიკა ზემოთ განმარტებულის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობები და DDV ფასდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის მანძილზე. მოსალოდნელი ფულადი სახსრების დეფიციტი დისკონტირდება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით, DDV-ს გამოყენებით.
- ეტაპი 3: სესხებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა, ჯგუფი აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს ამ სესხებისთვის. ეს მეთოდი მეორე ეტაპის აქტივებისთვის გამოყენებული მეთოდის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობა, ამ შემთხვევაში, 100%-ით არის განსაზღვრული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რესტრუქტურიზებულ და მოდიფიცირებულ სესხებზე

კლიენტების მიერ გადაუხდელი (დეფოლტის სიტუაციაში მყოფი) ხელშეკრულების პირობების გადასახედად ასახული მოდიფიცირებების შედეგად აღნიშნული კლიენტები რჩებიან მესამე ეტაპზე ერთთვიანი აღდგენის პერიოდის განმავლობაში, რასაც მოჰყვება ორთვიანი აღდგენის პერიოდი მეორე ეტაპზე.

თუ მოდიფიცირება განხორციელდა საკრედიტო მიზეზებით დეფოლტამდე (როგორც წესი, ვადის გაგრძელების მიზეზით), დაუფარავი დავალიანება გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე ორთვიანი აღდგენის პერიოდის განმავლობაში. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშებულია პირობების ცვლილებამდე. ამ მუხლების კლასიფიკაცია მოხდება მეორე ეტაპის აქტივებად ორთვიანი აღდგენის პერიოდით, რაც ასახავს თავდაპირველი საკრედიტო რისკის ზრდას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უიმედო ვალების ჩამოწერა

ჯგუფი ნებისმიერი სახის მოთხოვნას მთლიანად უიმედოდ მიიჩნევს და სრულად ჩამოწერს მოთხოვნას ბალანსიდან, თუ განხორციელდა მოთხოვნის ამოღებაზე მიმართული ყველა იურიდიული ქმედება და ჯგუფს აღარ აქვს დაუფარავი ოდენობის ამოღების გონივრული მოლოდინები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება საიჯარო მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გარდა

სხვა ფინანსური აქტივები, რომლებისთვისაც ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საფუძველზე ითვლის არის შემდეგი:

- სხვა მოთხოვნები
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური აქტივები ჯგუფდება კატეგორიებად ძირითადი რისკის მახასიათებლებში მსგავსებების გათვალისწინებით (და თითოეულის ხასიათის გათვალისწინებით).

სხვა მოთხოვნებისთვის ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოთვლისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. მაშასადამე, ჯგუფი არ ასახავს ცვლილებებს საკრედიტო რისკში, არამედ აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მსზ-ს მიხედვით, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღირიცხება ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილების მიხედვით, კორექტირებული მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ფაქტორებზე, რომლებიც მევალეების და ეკონომიკური გარემოს სპეციფიურია.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დეფოლტირებულად მიჩნეულია მაშინ, როდესაც ნაშთები არ არის განულებული, ჩვეულებრივი საბანკო ანგარიშსწორების გრაფიკის მიხედვით, ანუ, რამდენიმე დღეში. მაშასადამე, გადასვლა ხდება პირდაპირ ეტაპი 1-დან ეტაპი 3-ზე, იმ დღეების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით რაც საჭირო იქნებოდა დაუფარავი ოდენობისთვის რომ მესამე ეტაპის კლასიფიკაციისთვის მიეღწია (ანუ დეფოლტისთვის). ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებისთვის მე-2-ე ეტაპი არ გამოიყენება რადგან ნებისმიერი ვადაგადაცილებული დღეები დეფოლტს გამოიწვევდა.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(m) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა ჯგუფს აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(n) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი იყენებს ფასს 16-ის იჯარის განმარტებას.

(i) როგორც მოიჯარე

ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას ჯგუფის იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივის გამოყენების უფლება“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების ეფექტით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებითად“ ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. მისი ხელახალი შეფასება მოხდება თუ ჯგუფი შეცვლის იმის შეფასებას - გამოიყენებს თუ არა მის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით ხელახლა შეფასდება, ხდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს „ აქტივის გამოყენების უფლება“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

(ii) როგორც მეიჯარე

მაშინ როდესაც, ფინანსური იჯარის მოთხოვნები, რომლებიც ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს და რომლებზეც ფასს 16-ი გამოიყენება ბასს 32-ის და ფასს 7-ის გამოყენების ფარგლებშია, ისინი მხოლოდ ფასს 9-ის ფარგლებშია იმდენად რამდენადაც ისინი ექვემდებარებიან (1) აღიარების შეწყვეტის დებულებებს , (2) "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" მოთხოვნებს , (3) შესაბამის დებულებებს, რომლებიც იჯარებში ჩართულ წარმოებულებს შეესაბამება, და (4) გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებების უკავშირდებიან.

ჯგუფი ჩართულია ფინანსური იჯარის გარიგებებში ავტომობილების მის კლიენტებზე ფინანსური იჯარის ხელშეკრულებების საშუალებით გაყიდვის გზით. ჯგუფი მოგებას გამოიმუშავებს ძირითადად ფინანსური შემოსავლიდან იჯარის ვადის მანძილზე და არა თავდაპირველი გაყიდვების მოგებიდან.

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. იჯარის დაწყების თარიღი წარმოადგენს უფრო ადრეულ თარიღს საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და მხარეების მიერ იჯარის ძირითადი დებულებების მიღების თარიღს შორის. აღნიშნული თარიღისთვის:

- იჯარა კლასიფიცირდება ფინანსური იჯარის სახით; და
- განისაზღვრება იჯარის ვადის დაწყებისას ასაღიარებელი ოდენობები.

იჯარის დაწყების თარიღი არის თარიღი, რომლიდანაც მოიჯარეს აქვს უფლება გამოიყენოს იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლება. აღნიშნული წარმოადგენს იჯარის თავდაპირველი აღიარების თარიღს (ანუ, იჯარის შედეგად მიღებული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის ან ხარჯების აღიარება, შესაბამისად).

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსური იჯარის სახით იჯარის დაწყების თარიღისთვის თუ ის გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. იჯარის დაწყების თარიღი წარმოადგენს უფრო ადრეულ თარიღს საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და მხარეების მიერ იჯარის ძირითადი დებულებების მიღების თარიღს შორის. აღნიშნული თარიღისთვის:

- იჯარა აქტივის მფლობელობას გადასცემს მოიჯარეს იჯარის ვადის ბოლოსთვის;
- მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს აქტივი იმ ფასად, რომელიც მოსალოდნელია, რომ იყოს სამართლიან ღირებულებაზე არსებითად ნაკლები იმ თარიღისთვის, როდესაც ოფციონი გახდება აღსრულებადი, იჯარის დაწყების თარიღისთვის, გონივრულად სარწმუნოა, რომ ოფციონი იქნება აღსრულებული;
- იჯარის ვადა მოიცავს საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, თუნდაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდებოდეს
- იჯარის დაწყების თარიღისთვის, მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება შეადგენს, სულ მცირე, იჯარით აღებული აქტივის არსებითად მთლიან სამართლიან ღირებულებას.

დამატებითი მაჩვენებლები, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთობლივად ასევე გამოიწვევდა იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციას, არის შემდეგი:

- მოიჯარეს შეუძლია გააუქმოს იჯარა, მეიჯარეს მიერ გაუქმებასთან დაკავშირებით გაწეულ ზარალს მოიჯარე გასწევს;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ნარჩენი ღირებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული ამონაგები და ზარალი ერიცხება მოიჯარეს.

თავდაპირველი შეფასება

იჯარის დაწყებისთვის, ჯგუფი ფინანსურ იჯარას შემდეგნაირად აღრიცხავს:

- წყვეტს შესაბამისი აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარებას; და
- აღიარებს წმინდა ინვესტიციას იჯარაში.

ფინანსური იჯარის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღრიცხავს წმინდა ინვესტიციებს იჯარებში, რომელიც შედგება მეიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ფარგლებში მისაღები მინიმალური საიჯარო გადახდების ჯამისგან, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით. კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებები ადგენს, რომ საიჯარო ობიექტის საკუთრება გადადის მოიჯარეზე იჯარის ვადის ბოლოს; მაშასადამე, მეიჯარეს არ ერიცხება არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება. სხვაობა ბრუტო ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის აღირიცხება გამოუმუშავებელი ფინანსური იჯარის შემოსავლის სახით. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები, მაგალითად კლიენტის საკომისიოები და კჯგუფისის მიერ მანქანების დილერებზე გადახდილი საკომისიოები, შეტანილია საიჯარო მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში.

სახელშეკრულებო დებულებების მიხედვით, კლიენტებისგან მიღებული ავანსები და სხვა გადახდები ჩვეულებრივ აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი მიღებისას და გაქვითულია შესაბამისი კლიენტის ფინანსური იჯარის მოთხოვნების ხელშეკრულების საპირწონედ, შემდეგი თვიური ინვოისის გამოშვების მომენტში ხელშეკრულების გრაფიკის მიხედვით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური იჯარის შემოსავალი შედგება გამოუმუშავებელი ფინანსური იჯარის შემოსავლის ამორტიზაციისგან. ფინანსური იჯარის შემოსავალი აღიარდება ნიმუშის მიხედვით, რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ ამონაგების განაკვეთს წმინდა ინვესტიციაზე, ფინანსურ იჯარასთან მიმართებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. ჯგუფი პერიოდთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს იყენებს იჯარაში განხორციელებული ბრუტო ინვესტიციის საპირწონედ, როგორც ძირი თანხის ასევე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირების მიზნით.

ჯგუფი, შემოსავალს ცვლადი გადახდებიდან, რომლებიც არ არის შეტანილი წმინდა ინვესტიციაში იჯარაში (ანუ, შედეგებზე დამოკიდებული ცვლადი გადახდები, როგორიცაა ჯარიმები ან ვალების შეგროვებიდან მიღებული შემოსავალი) აღიარებს ცალკე, იმ პერიოდში რომელშიც გამომუშავებულია შემოსავალი. საიჯარო ვადა არ ასახავს მოიჯარეს მიერ იჯარის შეწყვეტის შესაძლებლობის გამოყენებას, შეწყვეტის მაღალი საკომისიოების და შედეგად, შესაძლებლობის გამოყენების დაბალი ალბათობის გამო.

იჯარის დაწყების შემდეგ, წმინდა ინვესტიცია იჯარაში არ არის გადაფასებული, გარდა შემთხვევებისა, როდესაც იჯარა მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული იჯარა არ არის აღრიცხული როგორც ცალკე ხელშეკრულება ან საიჯარო ვადა გადახედილია, როდესაც არსებობს ცვლილება იჯარის არაგაუქმებად პერიოდში.

ჯგუფი იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს.

(o) გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებები

ჯგუფი ასევე ჩართულია იმ სატრანსპორტო საშუალებების დაფინანსებაში, რომლებსაც უკვე ფლობენ მისი კლიენტები. მსგავსი უკუიჯარის გარიგებების ფარგლებში ჯგუფი იძენს შესაბამის აქტივს კლიენტისგან და შემდეგ უკან იჯარით გასცემს აქტივს იგივე კლიენტზე. სატრანსპორტო საშუალება მოქმედებს, როგორც გირაო ყველა იჯარის უზრუნველსაყოფად. ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების განსაზღვრის შესაბამის კრიტერიუმებს, რათა განსაზღვროს აღირიცხება თუ არა აქტივის გადაცემა როგორც აღნიშნული აქტივის გაყიდვა. თუ აქტივის გადაცემა გამყიდველის-მოიჯარის მიერ არ აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს, რომ აღირიცხოს როგორც აქტივის გაყიდვა, მყიდველი-მეიჯარე არ აღიარებს გადაცემულ აქტივს და აღიარებს ფინანსურ აქტივს გადაცემიდან მიღებული ამონაგების ტოლი ოდენობით. იგი აღრიცხავს ფინანსურ აქტივს როგორც კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებს, ფასს 9-ის გამოყენებით.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ მისი გაყიდვის და უკუიჯარის ხელშეკრულების დებულებები არის იმგვარი, რომ აქტივის გადაცემა გამყიდველისგან - მოიჯარესგან ჯგუფზე არ აკმაყოფილებს და არასოდეს არ აკმაყოფილებდა ფასს 15-ის მოთხოვნებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფმა ჩაატარა მისი გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებების SPPI ტესტირება. სატრანსპორტო საშუალება ყველა მსგავსი სესხების გირაოს წარმოადგენს. გაყიდვის და უკუიჯარის ხელშეკრულებები მოიცავს სახელშეკრულებო პირობებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება, ძირითად სასესხო გარიგებასთან არადაკავშირებული გზით. მსგავსი ფულადი ნაკადები წარმოიშვება მსესხებლების დეფოლტის შემთხვევაში და უკავშირდება დასაკუთრებულ მანქანების გაყიდვებს, რომელთათვისაც ნებისმიერი ნამეტი ამონაგები შეიძლება იყოს შენარჩუნებული ჯგუფის მიერ და საკომისიო და სხვა საფასური, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება დაუფარავ ძირ თანხას/პროცენტს, შეიძლება იყოს დარიცხული კლიენტზე (მაგ. სესხის ამოღების გარე ხარჯები, რომლებიც დარიცხულია კლიენტებზე, ნამატით).

ჯგუფმა ჩაატარა შესაბამისი მსჯელობები და დაასკვნა, რომ SPPI ტესტირება დაკმაყოფილებულია ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებებში, რადგან 1) ჯგუფის მიერ დარიცხული დასაკუთრების საკომისიო და საფასური გამიზნულია სესხის მომსახურების პროცესში ჯგუფის მიერ გაწეული ხარჯების დასაფარად, ჩვეულებრივი გასესხების მოდელის ფარგლებში, 2) ის ფაქტი, რომ ჯგუფი ინარჩუნებს დასაკუთრებული მანქანების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობებს, რომლებიც აჭარბებს ამოღებულ დაუფარავ ოდენობას (შესაბამისობის შემთხვევაში) არ არის მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფის მიერ ნაკისრი რისკი არის სინამდვილეში მანქანის ფასის რისკი და არა საკრედიტო რისკი. ჯგუფს შეუძლია გაყიდოს გირაო და დაიტოვოს ნებისმიერი ნამეტი მხოლოდ დეფოლტის შემთხვევაში და გარიგებიდან ხანდახან მიღებული უმნიშვნელო ამონაგები არ წარმოადგენს ძირითადი ბიზნეს მოდელის მიზანს (ანუ სასესხო აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის მიღება) და არ წარმოადგენს ბიზნესის მიზანს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ საკრედიტო ზარალის მაქსიმალურად შემცირებისთვის გამოყენებულ ინსტრუმენტს, 3) რეგრესის უფლების გარეშე გაყიდვა და უკუიჯარის გარიგებების შეწყვეტაზე მიღებული ჯარიმები, რომლებიც დარიცხულია კლიენტებზე, ასევე წარმოადგენს სახელშეკრულებო ელემენტებს, რომელთა მიზანია საკრედიტო რისკის ანაზღაურება და რომლებიც არ იწვევს არანაირ არსებით წმინდა შემოსულობას ჯგუფისთვის.

5. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 5 (b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 5 (b)(iii);
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 5 (b)(iv); და
- საპროცენტო განაკვეთის რისკი (იხილეთ შენიშვნა 5 (b)(v).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

5. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და ჯგუფის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ჯგუფის ფინანსური იჯარის მოთხოვნებიდან, კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსებიდან, სხვა მოთხოვნებიდან და ფულადი სახსრებიდან ბანკში.

საკრედიტო რისკის პოლიტიკის ძირითადი სფეროები მოიცავს იჯარას და სესხის დამტკიცების პროცესს (გადახდისუნარიანობის შემოწმების ჩათვლით), მონიტორინგის მეთოდებს, ასევე გადაწვეტილების მიღების პრინციპებს. ჯგუფი ოპერირებს ფინანსური იჯარის და სესხის დამტკიცების კრიტერიუმების მკაფიო ნაკრების გამოყენებით. აღნიშნული კრიტერიუმები მოიცავს კლიენტის საკრედიტო ისტორიის შეფასებას, იჯარის და სესხის დაფარვის საშუალებებს და ობიექტის გაგებას. კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების დროს ჯგუფიითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, ჯგუფი აწესებს საკრედიტო ზღვარს თითოეული კლიენტისთვის. როდესაც საიჯარო ან სასესხო ხელშეკრულება არის ხელმოწერილი, ჯგუფი ობიექტს და კლიენტის გადახდისუნარიანობას უწევს მონიტორინგს. ჯგუფმა ჩამოაყალიბა მონიტორინგის პროცესი იმგვარად, რომ მას ხელშეკრულების დებულებებთან ნებისმიერი შეუსაბამობის სწრაფად აღმოჩენაში დაეხმაროს. მოთხოვნის ნაშთების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ჯგუფის დაქვემდებარება უიმედო ვალებზე იყოს შემცირებული მინიმუმამდე და შესაბამისობის შემთხვევაში, დგება ანარიცხები.

ჯგუფს არ აქვს არსებითი საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება ნებისმიერი ცალკეული კონტრაგენტის მიმართ ან კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ, რომელთაც მსგავსი მახასიათებლები აქვთ. მაქსიმალური საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის წარმოდგენილია შენიშვნებში 12 და 13.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის, სხვა მოთხოვნები ძირითადად შედგება საბოლოო მშობელი ჯგუფის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს მიმართ არსებული მოთხოვნისგან, რომელსაც აქვს საკრედიტო რეიტინგი B-. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა არის არა-არსებითი ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფულადი სახსრები ბანკში ფლობილია ბანკებში, რეიტინგით BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი), Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს შეფასების მიხედვით. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელი ეტაპის ფარგლებში. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით.

ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე. აღნიშნული გამორიცხავს ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგალითად სტიქიური უბედურებები ან გლობალური პანდემია.

ჯგუფი მის ლიკვიდურობის რისკს მართავს დაკავშირებული მხარეებისგან საკმარისი ოდენობით საკრედიტო ხაზების მოზიდვის გზით.

5. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

31 დეკემბერი 2023 არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**საბალანსო ღირებულება**	**სულ**	**სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები**		
			1 წლამდე	**1-5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**
სესხები და კრედიტები	4,607,709	5,097,662	1,896,099	3,110,929	90,634
საიჯარო ვალდებულებები	1,516,283	1,762,915	548,980	1,213,935	-
სავაჭრო ვალდებულებები	169,819	169,819	169,819	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	809,573	809,573	809,573	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტია	2,661,120	2,661,120	2,661,120	-	-
	9,764,504	**10,501,089**	**6,085,591**	**4,324,864**	**90,634**

31 დეკემბერი 2022 არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**საბალანსო ღირებულება**	**სულ**	**სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები**		
			1 წლამდე	**1-5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**
სესხები და კრედიტები	5,344,054	6,209,280	2,890,478	3,139,855	178,947
საიჯარო ვალდებულებები	1,128,658	1,259,609	484,702	774,907	-
სავაჭრო ვალდებულებები	153,287	153,287	153,287	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	229,147	229,147	229,147	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტია	9,591,820	9,591,820	9,591,820	-	-
	16,446,966	**17,443,143**	**13,349,434**	**3,914,762**	**178,947**

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში (ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი) შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, პირობითი ვალდებულების მაქსიმალური ოდენობა "Eleving Group S.A. "-სა და შპს "Mogo UCO"-ზე გაცემული გარანტიის ფარგლებში არის 0 ევრო (31 დეკემბერი 2022: 0 ევრო), 0 ლარის ეკვივალენტური (31 დეკემბერი 2022: 0 ლარი) და 400 მილიონი სომხური დრამი (31 დეკემბერი 2022: 1,400 მილიონი სომხური დრამი) 2,661,120 ლარის ეკვივალენტური, (31 დეკემბერი 2022: 9,591,820 ლარი), რომელიც შეიძლება მოთხოვნისთანავე იყოს გატანილი. ხელმძღვანელობა მოელის, რომ გარანტიები არ იქნება გატანილი ვალდებულების ვადის ამოწურვამდე.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი გასწევს ფინანსურ ვალდებულებებს, საბაზრო რისკების მართვის მიზნით. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

5. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და ჯგუფის სამუშაო ვალუტას შორის. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

	ევროში დენომინირებული 2023	ევროში დენომინირებული 2022
ფულადი სახსრები ბანკებში	1,259,511	386,282
სესხები და კრედიტები	(4,607,709)	(5,344,054)
სხვა ვალდებულებები	(313,537)	(231,072)
წმინდა დაქვემდებარება	**(3,661,735)**	**(5,188,844)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2023	2022	2023	2022
1 ევრო	2.8436	3.0792	2.9753	2.8844

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ევროსთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2023		
ევრო (20%-იანი მოძრაობა)	732,347	(732,347)
31 დეკემბერი 2022		
ევრო (20%-იანი მოძრაობა)	1,037,769	(1,037,769)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფი არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან ყველა საიჯარო მოთხოვნას, კლიენტებზე გაცემულ სესხებს და ავანსებს და კრედიტებს აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური იჯარის მოთხოვნებიდან	12,253,870	12,116,158
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან და ავანსებიდან, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით	7,567,372	8,335,757
	19,821,242	**20,451,915**
საპროცენტო ხარჯი		
საპროცენტო ხარჯები პირინგული პლატფორმის ინვესტორებისგან მიღებული სესხებისთვის	(298,518)	(1,187,522)
საპროცენტო ხარჯები ბანკებისგან მიღებული სესხებისთვის	-	(7,126)
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისთვის	-	(200,546)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებისთვის (შენიშვნა 21)	(80,277)	(99,671)
	(378,795)	**(1,494,865)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**19,442,447**	**18,957,050**

7. წმინდა ხარჯი ვალების შეგროვების საქმიანობებიდან

	2023	2022
შემოსავალი ვალების შეგროვების საქმიანობებიდან	143,869	99,833
ხარჯები ვალების შეგროვების საქმიანობებიდან	(346,100)	(489,349)
	(202,231)	**(389,516)**

8. გაყიდვის ხარჯი

	2023	2022
მარკეტინგის ხარჯები	(546,222)	(327,126)
სხვა გაყიდვის ხარჯი	(3,185)	(8,005)
	(549,407)	**(335,131)**

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელმძღვანელობის მომსახურება	(2,709,656)	(3,468,395)
დასაქმებულთა ხელფასები	(3,132,080)	(3,077,302)
ცვეთა და ამორტიზაცია	(719,980)	(814,529)
ოფისის და ფილიალების ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	(322,329)	(290,219)
პროფესიული მომსახურება	(209,661)	(170,234)
IT მომსახურება	(181,676)	(149,503)
GPS აღჭურვილობის ხარჯი	(85,225)	(144,949)
საკრედიტო მონაცემთა ბაზის ხარჯები	(95,885)	(97,443)
კომუნიკაციის ხარჯები	(98,965)	(94,616)
ბანკის საკომისიო	(37,774)	(44,582)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(179,805)	(85,716)
	(7,773,036)	**(8,437,488)**

10. სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა

	2023	2022
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
საკომისიო შემოსავალი	1,036,023	802,673
შემოსავალი გაცემული გარანტიებიდან (შენიშვნა 20)	48,901	234,716
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე	311,264	170,559
სხვა	29,861	111,299
	1,426,049	**1,319,247**
სხვა საოპერაციო ხარჯი		
სხვა	(135,177)	(198,013)
	(135,177)	**(198,013)**
სხვა საოპერაციო შემოსავალი, წმინდა	**1,290,872**	**1,121,234**

11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება

თვითღირებულება	აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
2022 წლის 1 იანვარს	**1,086,858**	**56,258**	**1,995,501**	**3,138,617**
შესყიდვები	8,379	-	390,110	**398,489**
გასვლები	(9,619)	-	(157,619)	**(167,238)**
2022 წლის 31 დეკემბერს	**1,085,618**	**56,258**	**2,227,992**	**3,369,868**
2023 წლის 1 იანვარს	**1,085,618**	**56,258**	**2,227,992**	**3,369,868**
შესყიდვები	18,472	3,664	1,067,605	**1,089,741**
გასვლები	(9,502)	-	(764,127)	**(773,629)**
2023 წლის 31 დეკემბერს	**1,094,588**	**59,922**	**2,531,470**	**3,685,980**
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 1 იანვარს	**(1,003,261)**	**(55,606)**	**(406,497)**	**(1,465,364)**
წლის ცვეთა	(53,275)	(652)	(760,533)	**(814,460)**
ცვეთა გასულ აქტივებზე	9,139	-	149,004	**158,143**
2022 წლის 31 დეკემბერს	**(1,047,397)**	**(56,258)**	**(1,018,026)**	**(2,121,681)**
2023 წლის 1 იანვარს	**(1,047,397)**	**(56,258)**	**(1,018,026)**	**(2,121,681)**
წლის ცვეთა	(23,514)	(76)	(696,390)	**(719,980)**
ცვეთა გასულ აქტივებზე	9,490	-	740,730	**750,220**
2023 წლის 31 დეკემბერს	**(1,061,421)**	**(56,334)**	**(973,686)**	**(2,091,441)**
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერს	**38,221**	**-**	**1,209,966**	**1,248,187**
2023 წლის 31 დეკემბერს	**33,167**	**3,588**	**1,557,784**	**1,594,539**

12. ფინანსური იჯარის მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური იჯარის მოთხოვნები, ბრუტო	36,715,288	33,586,986
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(3,936,145)	(4,481,185)
ფინანსური იჯარის მოთხოვნა, წმინდა	**32,779,143**	**29,105,801**

(*) - 2023 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გაყიდა გაუფასურებული ფინანსური იჯარების მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელი საბალანსო ღირებულებით 277,061 ლარი და 439,723 ლარი, შესაბამისად, 511,696 ლარის ოდენობით ანაზღაურების სანაცვლოდ. 205,088 ლარის ოდენობით ზარალი გარიგებიდან აღიარებულ იქნა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2023		
	მინიმალური საიჯარო გადახდები	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	ფინანსური იჯარის მოთხოვნები, ბრუტო
1 წლამდე	24,904,102	(11,330,728)	13,573,374
2-დან 5 წლამდე, ერთად	37,474,955	(16,535,588)	20,939,367
5 წელზე მეტი	2,973,615	(771,068)	2,202,547
	65,352,672	**(28,637,384)**	**36,715,288**

	31 დეკემბერი 2022		
	მინიმალური საიჯარო გადახდები	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	ფინანსური იჯარის მოთხოვნები, ბრუტო
1 წლამდე	23,257,713	(9,900,700)	13,357,013
2-დან 5 წლამდე, ერთად	32,805,254	(14,581,822)	18,223,432
5 წელზე მეტი	2,645,539	(638,998)	2,006,541
	58,708,506	**(25,121,520)**	**33,586,986**

	31.12.2023		31.12.2022	
	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	23,145,642	13,330,442	20,258,528	12,994,787
დარიცხული პროცენტი და დამუშავების საფასური	-	449,461	-	473,399
სესხის გაცემისას გადახდილი და მიღებული საკომისიო	(133,417)	(76,840)	(84,917)	(54,811)
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(760,010)	(3,176,135)	(1,895,257)	(2,585,928)
სულ ფინანსური იჯარის მოთხოვნები, წმინდა	**22,252,215**	**10,526,928**	**18,278,354**	**10,827,447**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო ხარისხი და მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, ვადაგადაცილებული დღეებისა და წლის ბოლოსთვის ეტაპების კლასიფიკაციის მიხედვით. ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემა. წარმოდგენილი ოდენობები არის ბრუტო და მოიცავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს.

12. ფინანსური იჯარის მოთხოვნები (გაგრძელება)

	31.12.2023			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
- ვადაგადაცილების გარეშე	28,559,335	357,322	92,712	**29,009,369**
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	2,342,092	277,456	103,435	**2,722,983**
- 31 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	-	481,199	271,095	**752,294**
- 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	4,230,642	**4,230,642**
სულ მთლიანი ფინანსური იჯარის მოთხოვნები	**30,901,427**	**1,115,977**	**4,697,884**	**36,715,288**

	31.12.2022			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
- ვადაგადაცილების გარეშე	24,544,834	374,570	346,148	**25,265,552**
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	2,416,863	284,445	70,773	**2,772,081**
- 31 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	-	228,923	95,524	**324,447**
- 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	9,261	5,215,645	**5,224,906**
სულ მთლიანი ფინანსური იჯარის მოთხოვნები	**26,961,697**	**897,199**	**5,728,090**	**33,586,986**

მთლიანი საბალანსო ღირებულების და დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების ცვლილებების ანალიზი ფინანსური იჯარის მოთხოვნებთან მიმართებაში, არის შემდეგი:

	ფინანსური იჯარის მოთხოვნები		
	31.12.2023	ცვლილება წლის განმავლობაში	01.01.2023
ეტაპი 1	30,844,427	3,899,107	26,945,320
ეტაპი 2	1,104,741	220,639	884,102
ეტაპი 3	4,766,120	(991,444)	5,757,564
	36,715,288	**3,128,302**	**33,586,986**

	ფინანსური იჯარის მოთხოვნები		
	31.12.2022	ცვლილება წლის განმავლობაში	01.01.2022
ეტაპი 1	26,945,320	(1,576,234)	28,521,554
ეტაპი 2	884,102	(631,156)	1,515,258
ეტაპი 3	5,757,564	2,833,671	2,923,893
	33,586,986	**626,281**	**32,960,705**

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		
	31.12.2023	ცვლილება წლის განმავლობაში	01.01.2023
ეტაპი 1	803,912	140,939	662,973
ეტაპი 2	211,487	71,904	139,583
ეტაპი 3	2,920,746	(757,883)	3,678,629
	3,936,145	**(545,040)**	**4,481,185**

12. ფინანსური იჯარის მოთხოვნები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		
	31.12.2022	**ცვლილება წლის განმავლობაში**	**01.01.2022**
ეტაპი 1	662,974	54,772	608,202
ეტაპი 2	139,583	(151,036)	290,619
ეტაპი 3	3,678,628	1,894,512	1,784,116
	4,481,185	**1,798,248**	**2,682,937**

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება, 2023 წლის 31 დეკემბრით და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

	2023			
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**26,945,320**	**884,102**	**5,757,564**	**33,586,986**
გადატანა ეტაპი 1-ზე	404,906	(297,897)	(107,009)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(649,181)	671,057	(21,876)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(3,485,796)	(288,506)	3,774,302	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	16,131,481	455,578	875,466	**17,462,525**
დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(6,230,345)	(98,208)	(62,106)	**(6,390,659)**
ჩამოწერილი მოთხოვნები	(240,781)	(80,980)	(280,404)	**(602,165)**
გაყიდული მოთხოვნები	(1,567)	-	(3,336,229)	**(3,337,796)**
ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(2,029,610)	(140,405)	(1,833,588)	**(4,003,603)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**30,844,427**	**1,104,741**	**4,766,120**	**36,715,288**

	2023			
გაუფასურების რეზერვი	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**662,973**	**139,583**	**3,678,629**	**4,481,185**
გადატანა ეტაპი 1-ზე	75,602	(39,969)	(35,633)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(22,491)	29,006	(6,515)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(111,493)	(48,102)	159,595	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	401,844	87,457	410,871	**900,172**
აღდგენილი გაუფასურება დაკმაყოფილებული მოთხოვნებისთვის	(139,580)	(15,411)	(33,461)	**(188,452)**
აღდგენილი გაუფასურება ჩამოწერილი მოთხოვნებისთვის	(188,582)	(60,393)	(370,958)	**(619,933)**
აღდგენილი გაუფასურება გაყიდული მოთხოვნებისთვის	(1,923)	-	(2,903,305)	**(2,905,228)**
რეზერვის ხელახალი შეფასების ეფექტი	127,562	119,316	2,021,523	**2,268,401**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**803,912**	**211,487**	**2,920,746**	**3,936,145**

12. ფინანსური იჯარის მოთხოვნები (გაგრძელება)

	2022			
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**28,521,554**	**1,515,258**	**2,923,893**	**32,960,705**
გადატანა ეტაპი 1-ზე	381,280	(363,891)	(17,389)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(604,374)	626,131	(21,757)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(2,871,420)	(632,322)	3,503,742	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	12,393,266	304,463	1,212,244	**13,909,973**
დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(8,165,630)	(230,931)	(46,255)	**(8,442,816)**
ჩამოწერილი მოთხოვნები	(667,606)	(225,359)	(530,750)	**(1,423,715)**
ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(2,041,750)	(109,247)	(1,266,164)	**(3,417,161)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**26,945,320**	**884,102**	**5,757,564**	**33,586,986**

	2022			
გაუფასურების რეზერვი	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**608,202**	**290,619**	**1,784,116**	**2,682,937**
გადატანა ეტაპი 1-ზე	65,306	(59,958)	(5,348)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(20,308)	27,001	(6,693)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(84,899)	(131,817)	216,716	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	296,354	48,826	578,841	**924,021**
აღდგენილი გაუფასურება დაკმაყოფილებული მოთხოვნებისთვის	76,369	(29,468)	(3,881)	**43,020**
აღდგენილი გაუფასურება ჩამოწერილი მოთხოვნებისთვის	(21,639)	(44,680)	(311,913)	**(378,232)**
რეზერვის ხელახალი შეფასების ეფექტი	(256,411)	39,060	1,426,790	**1,209,439**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**662,974**	**139,583**	**3,678,628**	**4,481,185**

13. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

	31.12.2023	**31.12.2022**
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	19,181,634	20,924,325
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(2,132,886)	(3,210,194)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ამორტიზებული ღირებულებით, წმინდა	**17,048,748**	**17,714,131**

13. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2023		
	მინიმალური საიჯარო გადახდები	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, ბრუტო
1 წლამდე	14,123,774	(5,732,467)	8,391,307
2-დან 5 წლამდე, ერთად	16,884,026	(6,806,974)	10,077,052
5 წელზე მეტი	946,514	(233,239)	713,275
	31,954,314	**(12,772,680)**	**19,181,634**

	31 დეკემბერი 2022		
	მინიმალური საიჯარო გადახდები	გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, ბრუტო
1 წლამდე	15,635,993	(5,918,926)	9,717,067
2-დან 5 წლამდე, ერთად	17,636,955	(7,423,112)	10,213,843
5 წელზე მეტი	1,311,645	(318,230)	993,415
	34,584,593	**(13,660,268)**	**20,924,325**

	31.12.2023		31.12.2022	
	გრძელ-ვადიანი	მოკლე-ვადიანი	გრძელ-ვადიანი	მოკლე-ვადიანი
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	10,866,464	8,186,822	11,309,499	9,521,960
დარიცხული პროცენტი და დამუშავების საფასური	-	365,634	-	373,809
სესხის გაცემისას გადახდილი და მიღებული საკომისიო	(135,530)	(101,756)	(153,125)	(127,818)
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები	(373,844)	(1,759,042)	(1,178,243)	(2,031,951)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა	**10,357,090**	**6,691,658**	**9,978,131**	**7,736,000**

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
- ვადაგადაცილების გარეშე	14,675,299	151,050	73,979	**14,900,328**
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	1,564,874	196,610	36,330	**1,797,814**
- 31 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	-	209,845	136,867	**346,712**
- 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	2,136,780	**2,136,780**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, ბრუტო	**16,240,173**	**557,505**	**2,383,956**	**19,181,634**

13. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

	31.12.2022			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
- ვადაგადაცილების გარეშე	14,420,968	307,720	244,325	**14,973,013**
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	1,698,791	264,506	35,442	**1,998,739**
- 31 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	-	210,085	145,843	**355,928**
- 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	3,596,645	**3,596,645**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, ბრუტო	**16,119,759**	**782,311**	**4,022,255**	**20,924,325**

მთლიანი საბალანსო ღირებულების და დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების ცვლილებების ანალიზი კლიენტებზე გაცემულ სესხებთან და ავანსებთან მიმართებაში, არის შემდეგი:

	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
	31.12.2023	**ცვლილება წლის განმავლობაში**	**01.01.2023**
ეტაპი 1	16,332,559	67,710	16,264,849
ეტაპი 2	548,465	(241,302)	789,767
ეტაპი 3	2,300,610	(1,759,984)	4,060,594
	19,181,634	**(1,933,576)**	**21,115,210**

	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
	31.12.2022	**ცვლილება წლის განმავლობაში**	**01.01.2022**
ეტაპი 1	16,171,961	(2,355,801)	18,527,762
ეტაპი 2	770,659	(621,717)	1,392,376
ეტაპი 3	3,981,705	1,740,051	2,241,654
	20,924,325	**(1,237,467)**	**22,161,792**

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		
	31.12.2023	**ცვლილება წლის განმავლობაში**	**01.01.2023**
ეტაპი 1	443,526	28,402	415,124
ეტაპი 2	105,987	(18,567)	124,554
ეტაპი 3	1,583,373	(1,087,143)	2,670,516
	2,132,886	**(1,077,308)**	**3,210,194**

	საკრედიტო ზარალის რეზერვი		
	31.12.2022	**ცვლილება წლის განმავლობაში**	**01.01.2022**
ეტაპი 1	415,178	(12,923)	428,101
ეტაპი 2	124,552	(144,606)	269,158
ეტაპი 3	2,670,464	1,278,902	1,391,562
	3,210,194	**1,121,373**	**2,088,821**

13. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება, 2023 წლის 31 დეკემბრით და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

	2023			
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**16,264,849**	**789,767**	**4,060,594**	**21,115,210**
გადატანა ეტაპი 1-ზე	334,824	(249,644)	(85,180)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(381,350)	401,474	(20,124)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(1,437,229)	(266,496)	1,703,725	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	7,037,553	196,284	319,530	**7,553,367**
დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(4,377,547)	(76,189)	(46,027)	**(4,499,763)**
ჩამოწერილი მოთხოვნები	(166,975)	(89,448)	(232,481)	**(488,904)**
გაყიდული მოთხოვნები	-	-	(2,305,141)	**(2,305,141)**
ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(941,566)	(157,283)	(1,094,286)	**(2,193,135)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**16,332,559**	**548,465**	**2,300,610**	**19,181,634**

	2023			
გაუფასურების რეზერვი	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**415,124**	**124,554**	**2,670,516**	**3,210,194**
გადატანა ეტაპი 1-ზე	61,050	(35,679)	(25,371)	**-**
გადატანა ეტაპი 2-ზე	(12,897)	18,891	(5,994)	**-**
გადატანა ეტაპი 3-ზე	(46,557)	(47,330)	93,887	**-**
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	182,255	36,180	157,034	**375,469**
აღდგენილი გაუფასურება დაკმაყოფილებული მოთხოვნებისთვის	(105,084)	(10,271)	(18,498)	**(133,853)**
აღდგენილი გაუფასურება ჩამოწერილი მოთხოვნებისთვის	(160,484)	(70,692)	(324,350)	**(555,526)**
აღდგენილი გაუფასურება გაყიდული მოთხოვნებისთვის	-	-	(2,020,925)	**(2,020,925)**
რეზერვის ხელახალი შეფასების ეფექტი	110,119	90,334	1,057,074	**1,257,527**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**443,526**	**105,987**	**1,583,373**	**2,132,886**

13. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

	2022			
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**18,527,762**	**1,392,376**	**2,241,654**	**22,161,792**
გადატანა ეტაპი 1-ზე	246,037	(219,345)	(26,692)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(458,849)	465,133	(6,284)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(1,784,698)	(428,100)	2,212,798	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	7,457,980	302,740	788,974	**8,549,694**
დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(5,793,194)	(216,057)	(46,803)	**(6,056,054)**
ჩამოწერილი მოთხოვნები	(757,325)	(427,188)	(532,001)	**(1,716,514)**
ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნები	(1,265,752)	(98,900)	(649,941)	**(2,014,593)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**16,171,961**	**770,659**	**3,981,705**	**20,924,325**

	2022			
გაუფასურების რეზერვი	**ეტაპი 1**	**ეტაპი 2**	**ეტაპი 3**	**სულ**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**428,101**	**269,158**	**1,391,562**	**2,088,821**
გადატანა ეტაპი 1-ზე	46,191	(37,978)	(8,213)	-
გადატანა ეტაპი 2-ზე	(12,933)	14,870	(1,937)	-
გადატანა ეტაპი 3-ზე	(60,476)	(87,059)	147,535	-
ახალი შექმნილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	182,530	47,088	365,739	**595,357**
აღდგენილი გაუფასურება დაკმაყოფილებული მოთხოვნებისთვის	(3,187)	(32,451)	(13,624)	**(49,262)**
აღდგენილი გაუფასურება ჩამოწერილი მოთხოვნებისთვის	(25,865)	(85,269)	(301,552)	**(412,686)**
რეზერვის ხელახალი შეფასების ეფექტი	(139,183)	36,193	1,090,954	**987,964**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**415,178**	**124,552**	**2,670,464**	**3,210,194**

14. საკრედიტო ზარალის ხარჯი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური იჯარის მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა, რომელიც ასახულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

	2023	**2022**
ცვლილება ფინანსური იჯარის მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში	(2,360,188)	(1,798,248)
ჩამოწერილი ფინანსური იჯარის მოთხოვნები და გაცემული სესხები და ავანსები	(1,141,932)	(1,430,112)
ცვლილება კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურების რეზერვში	(943,617)	(1,121,373)
სულ საკრედიტო ზარალის ხარჯი	**(4,445,737)**	**(4,349,733)**

15. სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ	629,309	629,309
მოთხოვნები სწრაფი გადახდის პროვაიდერების მიმართ	236,636	179,023
საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	33,980	22,344
მისაღები საკომისიო მოსაკრებლები	37	-
სხვა	16,306	48,597
	916,268	**879,273**

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს აქვს 629,309 ლარის ოდენობით მოთხოვნები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს მიმართ (31 დეკემბერი 2022: 629,309 ლარი), რომელიც წარმოქმნილია დასაკუთრებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან.

ჯგუფის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

16. ფული ბანკში

	31.12.2023	31.12.2022
საბანკო ნაშთები	9,251,851	2,359,556
ფულადი სახსრები ბანკში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	**9,251,851**	**2,359,556**

ჯგუფის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

17. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(a) საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ავტორიზებული და სრულად გადახდილი კაპიტალი შეადგენს 200,000 ლარს (2021: 200,000 ლარი).

(b) სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები წარმოადგენს ჯგუფის მიერ მშობელ კომპანიაზე განხორციელებულ არაფულად განაწილებებს, იხ. შენიშვნა 20.

(c) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, როგორც წარმოდგენილია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ჯგუფის კანონმდებლობით დადგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2023 და 2022 წლებში ჯგუფს არ გამოუცხადებია დივიდენდები.

(d) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, ჯგუფი მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად

18. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. დამატებით ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-5 შენიშვნაში.

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი ვალდებულებები		
პირინგული ინვესტორებისგან მიღებული დაფინანსება	2,906,660	2,863,326
	2,906,660	**2,863,326**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
პირინგული ინვესტორებისგან მიღებული დაფინანსება	1,701,049	2,480,728
	1,701,049	**2,480,728**
	4,607,709	**5,344,054**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31.12.2023		31.12.2022	
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
პირინგული ინვესტორების -გან მიღებული დაფინანსება	ევრო, ფუნტი სტერლინგი	7%-13.5%	2026	4,607,709	4,607,709	5,344,054	5,344,054
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**4,607,709**	**4,607,709**	**5,344,054**	**5,344,054**

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

	2023	2022
1 იანვარი	**5,344,054**	**20,782,060**
შემოსულობები სესხებიდან	6,305,318	13,064,104
საპროცენტო ხარჯი (იხილეთ შენიშვნა 6)	298,518	1,395,193
ძირი თანხის დაფარვა	(7,128,391)	(24,620,776)
პროცენტის დაფარვა	(284,880)	(1,464,079)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	73,090	(3,812,448)
31 დეკემბერი	**4,607,709**	**5,344,054**

19. სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
დაკავშირებული მხარეების მიმართ დარიცხული ვალდებულებები	266,078	229,147
სახელფასო ვალდებულებები	211,020	166,982
ვალდებულება პირინგული პლატფორმის საშუალებით მოზიდული დაფინანსებისთვის	47,459	-
სხვა ვალდებულებები	285,016	229,715
	809,573	**625,844**

ჯგუფის დაქვემდებარება სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე განხილულია მე-5 შენიშვნაში.

